# ხელშეკრულება N249

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში "შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის მოადგილის შალვა ტორაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თა ბე" (შემდგომში „მიწოდებელი") მისი დირექტორის მ. ბერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პროფესიული სწავლებისათვის აუცილებელი ინვენტარის, მასალისა და ნივთების სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. *(საფუძველი: საქართველოს მთავრობის განკარგულება N1127, 2013 წლის 27 აგვისტო).*

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტია პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პროფესიული სწავლებისათვის აუცილებელი ინვენტარი, მასალა და ნივთები დანართი #1-ის შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი #1 (ერთი) ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **4 643,3 (ოთხიათას ექვსასორმოცდასამი ლარი და 30 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ, შესყიდვის ობიექტები იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და სრულად ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ფაქტიური მისამართი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება - მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული საამისოდ უფლებამოსილი პირია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მომარაგების განყოფილების ინსპექტორი ლევან ბოცვაძე, სპეციალისტი ელგუჯა კუბიაშვილი.

**7. ანგარიშსწორების პირობები**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

7.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა.

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანართის პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ტექნიკური პირობების იდენტური, მაღალი ხარისხის საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი

შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

9.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,4 (ნული მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

9.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 ოქტომბრამდე.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

13.1. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს

ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

13.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯებით მისი გამოსწორება.

13.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება მოწოდებული საქონლის/მომსახურების ექსპერტიზა.

13.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მომარაგების განყოფილების ინსპექტორი ლევან ბოცვაძე, სპეციალისტი ელგუჯა კუბიაშვილი.

13.6. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14.4. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**16. სხვა პირობები**

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან და ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

**17. მხარეთა რეკვიზიტები**

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სასჯელაღსრულების დეპარტამენტი<br>გორგასლის ქ. N83 ა<br>ს/კ 204404723<br>საქართველოას ეროვნული ბანკი<br>ბ/კ 220101107<br>ა/ა GE24NB0330100200165022<br><br>დეპარტამენტის თავმჯდომარის<br>მოადგილე<br><br>/შალვა ტორაძე/ | შპს „თა ბე“<br>ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N25<br>ს/კ 202299066<br>ს/ს „ბაზის ბანკი“<br>ბ/კ CBASGE22<br>ა/ა GE11BS 0000 0000 3383 6863<br>ტელ: (995 32) 2344128<br><br>დირექტორი<br><br>/მ.ბერიძე/ |

| N | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა | CVP |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყლის ტუმბო QB60 | ცალი | 2 | 55 | 110 | 31131000 |
| 2 | ვიბრატორის ძრავი zn70 | ცალი | 1 | 200 | 200 | 31132000 |
| 3 | სარჩილავი 60WHL-12 | ცალი | 7 | 12 | 84 | 42660000 |
| 4 | ელ. ტესტერი პატარა | ცალი | 4 | 20 | 80 | 31212200 |
| 5 | ელ. მავწუხი დიდი | ცალი | 3 | 25 | 75 | 31212200 |
| 6 | კაბელის გადასაბმელი ნ1 | ცალი | 10 | 1,2 | 12 | 31200000 |
| 7 | კაბელის გადასაბმელი ნ2 | ცალი | 10 | 1,5 | 15 | 31200000 |
| 8 | ქანჩის გასაღები /14 ცალიანი/ | ცალი | 2 | 50 | 100 | 44512500 |
| 9 | დენის სასინჯი NINP 1200 | ცალი | 3 | 1 | 3 | 31200000 |
| 10 | სპილენძის სადენი 2*2,5 | მეტრი | 50 | 1,2 | 60 | 31224400 |
| 11 | კაბელი 3*1,5 | მეტრი | 50 | 2 | 100 | 31224400 |
| 12 | როზეტი 32001022 | ცალი | 10 | 2,5 | 25 | 31310000 |
| 13 | კოლოფი 10011 | ცალი | 20 | 0,5 | 10 | 31682100 |
| 14 | ჩამრთველი 320011001 | ცალი | 10 | 2,5 | 25 | 31200000 |
| 15 | გამანაწილებელი კოლოფი 10029 | ცალი | 10 | 1 | 10 | 31310000 |
| 16 | ელ. მრიცხვე Elektronik KWH Meter DDS480 5/60 | ცალი | 1 | 40 | 40 | 38550000 |
| 17 | ელ. მრიცხველი Elektronik KWH Metor DDS480 5/100 | ცალი | 1 | 140 | 140 | 38550000 |
| 18 | მაგნიტური გამშვები MS QSX2 9A | ცალი | 2 | 55 | 110 | 31200000 |
| 19 | ავტომატი ამომრთველი 60011 | ცალი | 5 | 5 | 25 | 31212000 |
| 20 | ავტომატი ამომრთველი 60013 | ცალი | 5 | 5 | 25 | 31212000 |
| 21 | სახრახნისი ორმხრივი (პატარა) | ცალი | 15 | 3 | 45 | 44512800 |
| 22 | ბრტყელტუჩა KPN 306 | ცალი | 17 | 5,3 | 79,5 | 44512200 |
| 23 | მკვნეტარამკვნეტარა KYK 306 | ცალი | 3 | 4,1 | 12,3 | 44512200 |
| 24 | მაკრატელი ლითონის ფურც. საჭრელი 10 MKT 10 | ცალი | 2 | 10 | 20 | 44510000 |
| 25 | ჩაქუჩი 02 CKA | ცალი | 2 | 3 | 6 | 44512300 |
| 26 | ელ. დრელი 10 MM 500W RTM 151 | ცალი | 1 | 100 | 100 | 43132300 |
| 27 | დისკი საჭრელი რკინის რგოლი 300*3,0 | ცალი | 5 | 5,5 | 27,5 | 44510000 |
| 28 | ვოლტმეტრი | ცალი | 5 | 12 | 60 | 38341320 |
| 29 | ამპერმეტრი | ცალი | 5 | 12 | 60 | 38340000 |
| 30 | ელ. დრელი 13 MM 750W RTM 157 | ცალი | 1 | 100 | 100 | 43132300 |
| 31 | ბალგალკა 230 MM 2000W RT 123 | ცალი | 1 | 180 | 180 | 42215100 |
| 32 | ბალგარკა 115 MM 600W RTM 103 | ცალი | 1 | 100 | 100 | 42215100 |
| 33 | მიქსერის თათი PRM 2 80*400მმ | ცალი | 3 | 5 | 15 | 43413000 |
| 34 | ქაფჩა YBR 08 | ცალი | 10 | 7 | 70 | 44510000 |
| 35 | უჟანგავი შპატელი წებ. 250 მმ /6*6 | ცალი | 10 | 6 | 60 | 43300000 |
| 36 | ჩაქუჩი რეზინის 160დიამ. CKW 16 | ცალი | 10 | 5,2 | 52 | 44512300 |
| 37 | ბრტყელტუჩა KPN 307 | ცალი | 3 | 5,3 | 26,5 | 44512200 |
| 38 | მკვნეტარა KYK 206 | ცალი | 3 | 5 | 15 | 44512200 |
| 39 | შვეული 300G SKL 03 | ცალი | 3 | 10 | 30 | 44510000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 40 | დუბელის ლურსმანი nail 80mm*4.5mm | კგ. | 1 | 4,5 | 4,5 | 44192200 |
| 41 | ქვიშა (სამშენებლო) | კბ.მ. | 1,5 | 55 | 82,5 | 14200000 |
| 42 | ცემენტი (M 42.5) | ცალი | 8 | 11 | 88 | 44110000 |
| 43 | წებო ცემენტი " თაბე " (25kg) | ცალი | 20 | 9 | 180 | 44110000 |
| 44 | Selcuklu beyaz 33*33 | ცალი | 20 | 20 | 400 | 44110000 |
| 45 | SAFIR BEIGE 20*40 | ცალი | 20 | 15 | 300 | 44110000 |
| 46 | ბაზალეთის ფილა | კვ.მ. | 7 | 50 | 350 | 44900000 |
| 47 | ბეტონის ფილა | კვ.მ. | 10 | 15 | 150 | 44900000 |
| 48 | მავთული შავი ლითონისაგან | კგ. | 1 | 3 | 3 | 44300000 |
| 49 | ფუგა 5 კგ. | ცალი | 5 | 5 | 25 | 44300000 |
| 50 | ნიჩაბი 1,4 | ცალი | 3 | 5 | 24 | 44510000 |
| 51 | ხის ტარი 1,5 მ (ბარის და ლაფარტკის) | ცალი | 3 | 3 | 9 | |
| 52 | მაგიდის საწმენდი ტილო საშუალო 3 ც | ცალი | 2 | 6 | 12 | 39525810 |
| 53 | სათლი 10ლ | ცალი | 5 | 15 | 75 | 39224330 |
| 54 | მეტალის საჭრელი ალმასის დისკი 125MM RRA125 | ცალი | 3 | 15 | 45 | 33141123 |
| 55 | მეტალის საჭრელი ალმასის დისკი 230MM RRA 230 | ცალი | 2 | 20 | 40 | 33141123 |
| 56 | გლაძილკა PSR/2 | ცალი | 3 | 5 | 15 | 14522300 |
| 57 | ზუმფარა (რულონი) 50მ | ცალი | 20 | 3 | 60 | 14522300 |
| 58 | ტაშტი | ცალი | 10 | 10 | 100 | 37500000 |
| 59 | წებო გრანიტის PATTEX 257 gr | ცალი | 20 | 4,75 | 95 | 44110000 |
| 60 | ჩაქუჩი 500 G CKA 05 | ცალი | 10 | 5 | 50 | 44512300 |
| 61 | კირი | კგ. | 50 | 1 | 50 | 14200000 |
| 62 | ძუა 100მ. | ცალი | 1 | 30 | 30 | 39540000 |
| 63 | კაფელის საჭრელი - მექან. 40სმ FYN40 | ცალი | 1 | 80 | 80 | 33141123 |
| 64 | თარაზო SUG 04 40სმ | ცალი | 3 | 10,5 | 31,5 | 44510000 |
| 65 | გლაძილკა უჟანგავი (ლით. 130270) | ცალი | 5 | 6 | 30 | 44510000 |
| 66 | უჟანგავი შპატელი წებ. 250 მმ /6*6 | ცალი | 3 | 5 | 15 | 44510000 |
| | | | | | 4643,3 | |

შპს „თა ბე"-ის
დირექტორი /მ. ბერიძე/